ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4197876

ნომერი: AR1632715

თარიღი : 01.10.2018

გაცემის თარიღი : 03.10.2018

გაცნობის თარიღი : 03.10.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პურის მოედანი , N 1 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა პურის მოედანი , N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ავთანდილ ნაცვალაძე პ/ნ 01030052696
- თბილისი, გუნიას ქ # 2, სართული 1, ბინა #2

ორგანიზაცია:
- შპს "ალიანს-ჯი" კოდი: 204560714

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მაია ბუხაიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ალიანს-ჯი

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204560714
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნინო კოკაია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01006001515

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3893456
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 30.03.2018

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პროექტის განხილვის, ნებართვისა და სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ 2018 წლის 30 მარტის №3893456 ბრძანებასა და უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2018 წლის 30 მარტის №3893456 ბრძანებით მოწონებულ იქნა ქ. თბილისში(სექტორი -კრწანისი), პურის მოედანი N1, პურის მოედანი N2-ში (ძეგლი) სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა და სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 22018 წლის 2 აპრილიდან 2018 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით. ბრძანების მე-4 პუნქტით დამკვეთს დაევალა ორი თვის (42 სამუშაო დღის) ვადაში წარმოადგინოს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი თანხმობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით.

2018 წლის 21 მაისის AR1589308 განცხადების საფუძველზე (განმცხადებელი ა. ნაცვალაძე), სამსახურის 2018 წლის14 ივნისის №3976379 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 მარტის №3893456 ბრძანებაში და ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „4. დაევალოს დამკვეთს 129 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი თანხმობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით.“

სამსახურის 2018 წლის 27 სექტემბრის №4189794 ბრძანებით შესრულებულად ჩაეთვალა შპს „ალიანსი ჯი“-ს წარმომადგენელს, სამსახურის 2018 წლის 30 მარტის №3893456 ბრძანების მე–4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.

2018 წლის 01 ოქტომბერს N AR1632715 განცხადებით მოგვმართა შ.პ.ს. „ალიანს-ჯი“-ს დირექტორის, ნინო კოკაიას მინდობილმა პირმა ა. ნაცვალაძემ (2016 წლის 10 ივლისის მინდობილობა), რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 2018 წლის 30 მარტის №3893456 ბრძანებასა და უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2018 წლის 30 მარტის №3893456 ბრძანებაში, კერძოდ, "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 2 აპრილიდან 2018 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით." შეიცვალოს ,,ნებართვა ძალაშია 2018 წლის 2 აპრილიდან 2019 წლის 02 მაისის ჩათვლით“;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2018 წლის 30 მარტის №3893456 ბრძანებასთან ერთად.

- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ

პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

- თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.